გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერი[illegible]

[illegible]ვეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ[illegible]ბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქ[illegible] [illegible]ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის [illegible]პირ, თავ. გრუზინსკისეულს სახ[illegible]ში, [illegible]-კითხვის გამავრცელებელ საზოგა[illegible]ის კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბან[illegible]სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

[illegible]ასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრი[illegible]ნი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 27 აგვისტ.**

**თავადი ესტატე დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვლებას თავისის ძმის **დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკის, თავადის ვახტანგ დავითის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისას**—სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის პანაშვიდზედ, სამშაბათს ამ თთვის 25, ნაშუადღევის 12 საათზედ და საღამოს 6 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.


## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—12)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის" რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებლის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მისაღები და განსამეორებელი ეგზამენები დანიშნულია სექტემბრის 16, 17 და 18, ხოლო სწავლა-კი 21 სექტემბერს დაიწყება.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის სამხედრო სამკურნალოში 23 აგვისტოს მორჩა თურქანიძე. 24 აგვისტოს დილით 4 ავადმყოფი იყო.

ტფილისში 22 და 23 აგვისტოს ავად არავინ გამხდარა.

20 აგვისტოს სარკინიგზო სამკურნალოში კარგად გახდა ანნა მალეევისა.

ქ. ახალციხეში 19 აგვისტოს ავად გახდა 5, მორჩა 1, გარდ. 4; ავად იყო 15; 20 აგვისტოს ავად გახდა 3, მორჩა 1, გარდ. 2, დარჩა 15; 21 აგვისტოს ავად გახდა 21; გარდ. 11, დარჩა 25; 22 აგვისტოს ავად გახდა 32, გარდ. 14; ქ. ახალციხეს დაბანაკებულს ტამანის პოლკში ავად გახდა 30, გარდ. 8.

ქ. გორში 19 და 20 აგვისტოს ავად არავინ გამხდარა. სოფ. ციხისჯვარში 12—18 აგვისტოს გარდ. 2; ბაკურიანს 1, სათიხარს 1, ჰალას 2, ახალუბანში 1, დიდმეჯვრისხევში 2; უკუმასოფელში ავად გახდა 2, ზერთში 3, გარდაიცვალა. 2, მორჩა 10; სოფ. ახრისში ავად გახდა ბორჩალოს მაზრის მმართველობის მდივნის ცოლი, ანნა ყანჩელისა. ცხინვალში ავად გახდა 10, მორჩა 11, გარდ. 5. დგვრისში ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 2, თამარამარაშენში ავად გახდა 3, მორჩა 6, გარდ. 1; ხეითში ავად გახდა 1, გარდ. 1; შინდისში ავად გახდა 10, მორჩა 15, გარდ. 5; ქვემო-ნიქოზში ავად გახდა 3, მორჩა 4; ზემო-ნიქოზსა და სვირში ავად გახდა 7, მორჩა 11, გარდ. 2.

როგორც სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება, სოფ. ზემო-მაჩხაანსა და ქვემო-მაჩხაანში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. სოფ; ჯულაანს გარდ. 2, ბოდბისხევს 1; მაშნაარში ავად გახდა 2, გარდ. 2; სიღნაღში გარდ. 1.

ტფილისის მაზრის სოფ. ირაგას ავად გახდა 2; მალხაზოვკაში გარდ. 2; საგარეჯოში—3, პატარძეულს გარდ. 12.

ახალქალაქის მაზრა: 19 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 49, მორჩა 13, გარდ. 26, ავად არის 86. ქ. ახალქალაქს ავად გახდა 2, გარდ. 1. 20 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 47, მორჩა 7, გარდ. 23, ავად იყო 100; 21 აგვისტოს სოფლად ავად გახდა 40, მორჩა 8, გარდ. 20, დარჩა 112.

ბორჩალოს მაზრა: 15—21 აგვისტოს წალკაში ავად გახდა 51, მორჩა 17, გარდ. 19, დარჩა 44.

## ახალი ამბავი

*** აქამდე ხელოსანთა შორის ერთ გვარი ჩარჩები და შუამავლები იყვნენ, და ეხლაც არიან, რომელნიც მუშა-ხელოსან კაცისაგან იაფად ყიდულობენ, მომხმარებელზედ ძვირად ჰყიდიან და ყველაზედ მეტს მოგებას თავად არიან. მაგალითებრ, ტფილისში დიდ-ძალი ავეჯეულობის მაღაზიებია, რომლის პატრონებმა არც დურგლობა იციან და არც ხუროობა, მაგრამ ფულის წყალობით დურგლების ნამუშავარს აძვირებენ და ერთი ორად და სამად იგებენ ფულს. უბრალო დურგალი რომ გააკეთებს რასმე, დიდ ხანს ვერ შეინახავს გაკეთებულს საქონელს, რადგანაც ფული უჭირს. ამასობაში მუშტარიც არა ჰყავს, რომ მიჰყიდოს და ანაღები ფული ზოგი საცხოვრებლად და ზოგიც ახალის მასალის სასყიდლად მოიხმაროს. აი, აქ გამოუჩნდება მაღაზიის პატრონი და თითქმის მასალის ფასად ჰყიდულობს გაკეთებულს საქონელს, აწყობს მაღაზიაში და ელის მუშტარს, რადგან ფული აქვს და ხელოსანსავით არ არის გაჭირვებული. მივა მუშტარი და იმას ერთი-ორად და სამად ახდევინებს ფასს. ამ გვარად ეს ჩარჩი-შუამავალნი სადურგლო ნაწარმოებსაც აძვირებენ, ხელოსნებსაც ლუკმას უჭრიან და მხოლოდ თითონა სარგებლობენ იმის წყალობით, რომ ორიოდე გროში მოეძევებათ. ბევრჯელ იყო გაზეთებში ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დურგლებმა ამხანაგობა დააარსონ, მაღაზია გაიმართონ და თავისი ნახელოსნარი, თავის გაკეთებული თითონვე ჰყიდონ. ჯერ ერთი, შრომის ფასს მეტს აიღებენ, ვიდრე ეხლა იღებენ ჩარჩ-შუამავალთაგან, და, მეორე, სადურგლო ნაწარმოებსაც გააიაფებენ, ხალხს უფრო მცირე ფასად შეეძლება საჭირო ავეჯეულობის ყიდვაო, მაგრამ ეს საქმე გოგორღაც არა ხერხდებოდა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ტფილისში უკვე დაუარსებიათ ამისთანა ამხანაგობა. ამ ამხანაგობას შეუსყიდნია გ. ს. მიკირტუმოვის ავეჯეულობის მაღაზია, რომელიც მიხეილის ქუჩაზედ იმყოფება, ზეცერის პირდაპირ, სახ. № 149 და ყოველ გვარ სამუშაო-საქმეს იღებს სადურგლოს, სახარატოს და შპალიერების გაკვრისას. ამხანაგობას ეწოდება „შრომის მოყვარეობა" და განაგებს სახელოსნო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული ახალგაზდა დურგალი გრ. ივ. თოიძე. სრულის თანაგრძნობით ვეგებებით ამ ამხანაგობას და ვისურვებთ, რომ გირიანად წარემართოთ ვაჭრობა და სრულიად შეუძლებელ გაეხადოთ სადურგლო საქმეში ჩარჩობა, რადგან ჩარჩი ხელოსნის მაზარალებელიც არის და მუშტარ-მომხმარებლისაც.

*** ქ. ბაქოში 21 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 1, გარდ. 1,

## ფელეტონი

### დლიური ბიძია თომასი *)

ივლისი

#### VII

„სჯობს სიცოცხლეს სახელოვანსა სიკვდილი საზრახიანი".

თანამედროვე სიმღერა

დარისპანმა ძალიან მალე იშოვნა თვისი მგზავსი ამხანაგები. როგორც დარისპანს, ისე იმის ცხოვრებაში ახლად შეძენილს მეგობრებს ცხოვრება გაუჭირდათ: ხელიდგან არა გამოსდიოდათ-რა და მამულსაც ვერას რჩებოდნენ. რა ექმნათ? სიმშილით ხომ ვერ დაიხოცებოდნენ! პატარა ხანს აქედ-იქით იწანწალეს, რამდენიმე ხანი ეთრივნენ სტუმრად ხან ვისთან, ხან ვისთანა და როცა ყველას მოსწყინდა მათი ჭმევა-სმევა, როცა ყველამ კარი დაუმცხეთურა, მაშინ... მაშინ დარისპანმა თავის დამქაშებით ყურები ჩამოჰყარეს, პირისპირ შეხედეს ცხოვრებას, რომელიც მათ ათას გვარს უბედურებას უქადოდა.

ერთხელ შეიყარნენ ერთს დიდ გვაროვან კაცთან; რა გაეწყობა, ყველას კაცი ჰქვიან, ვისაც-კი ქუდი ჰხურავს; ჩვენც იმიტომ ვიძიხით: „შეიყარნენ ერთს დიდ გვაროვან კაცთან"-მეთქი, თორემ ასე უნდა მეთქვა: „შეიყარნენ ერთს დიდ გვაროვან ბაწაწკთანა".

დიაღ, შეიყარნენ. ამ ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს დარისპან დიმიტრის ძე ავლიაძე.

— აბა, დარისპოჯან, რომ შეგვყარე, გზაც შენ გვაჩვენე და! რა ვაკეთოთ, რა ვქნათ...

— ჯერ ჩემი დარდი უნდა გითხრათ, დაიწყო მასპინძელმა, მე სულ უკანასკნელი სამოცის თუმნის ტანისამოსი გამოვართვი ერთს თერძსა, ახლა ლამის დამარჩოს...

— სამოცის თუმნისა ერთად!? უპასუხა განცვიფრებით აზნაურმა არჩილამ.

— ჰო, რა იყო მერე? ერთის მდიდარის ქალს ვეარშიყებოდი ქალაქში; გამოვეწყე ლამაზად, იმ თერძს ცოტა სახარჯო ფულებიც გამოვართვი და დავიძარ ტფილისისაკენ; ეს ოხერი ქალაქი ხომ ფულის ჭამიაა!... ჰო, დავუწყე არშიყობა... რასაკვირველია, ბიჭად მოვეწონებოდი... მერე ქალს რა უნდა, იცი? ლამაზი უნდა იყო და ამასთან „კნიაზიც". „კნიაზის" ხსენებაზედ სულ ელეთმელეთი მოსდით. თუ ეშხიანი ლეკურიც იცი...

— მერე შენ სულ ფეხებში გაქვს ძალა წასული, გააწყვეტინა მაკვილაკმა აზნაურმა.

— თუ ეშხიანი ლეკურიც იცი, მაშინ შენია და შენი... კარგად მოვიყვანე საქმე; ის იყო რაღა, უნდა მთელი პაჭკები ათთუმნიანებისა მეგდო ხელში და ჩაილულის მორევში ჩამეყურჭუმელავებინა, მაგრამ გაწყრა ღმერთი; ერთხელ ვეჩერში ვართ ქალაქის სობრონიეში; მოვხიბლე, მოვხიბლე ის ქალი, რომ გვერდიდგან არა მშორდებოდა; სიტყვაც გადვუკარ; იმას ისე იამა, რომ მეტის ღელვისაგან ზალაში წაბარბაცდა: „თუ მამა ჩემი დაყაბულდება თქვენზედ მიცემაზედ, მე დღესვე მზადა ვარო, ჩამფურჩუნა ჩურში შუშანიკ ადამოვნამა. რაღა ბევრი გაგიჭრელოთ, მამას მე ფახები მივეცი, რომ ამდენ-ამდენის მამულდედულის პატრონი ვარ-მეთქი... ცოტა არ იყოს მოვჯოხე. შუშანიკა ადამოვნა-კი სულ ალტაცებაშია, რომ მალე კნეინა გახდება...

— კნეინა, მამა უცხონდა, ნაზუქის სუნი დაარჩობდა აი! გაიხუმრა არჩილამ.

— ეშმაკად, დაიწყო ისევ მასპინძელმა, სობრანიიდგან ჩამოსვლის დროს შუშანიკი თავის მამით უკან ჩამომყოლოდნენ. მე შინელ წამოსხმული ამაყად გამოვედი და თითის ქნევით მოვიწვიე ჩემი ფაიტონი. იმან ფაცური არა ჰქნა. დავუყვირე.

— რას მიყვირი, ბარინ, სამი დღეა შენს გზაზედ ამომილამდა თვალები, ჯერ გამისწორდი და მერე წაგიყვანო.

— ხა, ხა, ხა!! მგონი ჯიბეში სულ თაგვები გითამაშებდა, არა? ჩაურთო სიტყვა არჩილამ.

— მაცალე, შე ბრიყვო, შენა!! ხვალ პოლიციაში თუ არ დაგაჭერინო-მეთქი, ვუთხარ და მოუსვი, რომ შემოვტრიალდი და ზედ-კი შევეხალე ჩემს სატრფოს თავის მამითა. დამასხა ცხელმა ოფლმა, დამასხა, რომ რა გითხრა.

— კიდევ კარგი შეგრცხვენია, წაიხუმრა არჩილამ.

— ისე დავიძარ, როგორც ფოსტის ცხენი...

— კაი ბიჭი ყოფილხარ, შენ ძალიან გამოგვადგები ახალს საქმეებში, უთხრა დარისპანმა მასპინძელსა.

— ახლა, ყმაწვილებო, მაშინდელი ვალი ეხლაც წელსა მწყვეტს.

— ბარათი უჭირავს შენი იმ თერძსა?

— მა რა ჯანაბაა! მოვუბღაჯნე და მივეცი.

— რა უშავს, უარი მიარტყი, ატკაზი და იმისი ჯანი, უთხრა დარისპანმა.

— მერე პოდლოღზედ რომ მიჩივლებენ, ხომ ციმბირი აქეთ დამრჩა, შე ოხერო!

— მაინც დღეს თუ ხვალ ციმბირი არ აგვცდება და მოდი უწინ შენ წადი, გზა ისწავლე და მერე ჩვენ გამოგყვებით; მაინც შენი გვარი დაჩვეულია ციმბირსა, რა გიშავს. ერთს კაცს რომ ჰკითხეს, არ გაგიგონიათ? ჰკითხა არჩილამ, რომელიც უფრო სამასხაროდ და სასმელ-საჭმელად დაეთრეოდა ამათთან, ვიდრე საავა-

*) დასასრული, იხ. „ივერია", № 179.

ავად არის 5; გუბერნიაში ავად გახდა 44, გარდ. 28, მორჩა 1, ავად არის 26.

განჯაში 21 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 35, გარდ. 17, ავად არის 75.

დაღესტანში ავად გახდა 204, გარდ. 63, მორჩა 264; ავად არის: შურაში 7, მთელს ოლქში 928.

ქ. ქუთაისში ავად გახდა 1, გარდ. 1, ავად არის 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4, მორჩა 1, ავად არის 46.

ყარსში კვლავ ავად გახდა 20, გარდ. 1, ავად არის 107; მთელს ოლქში ავად გახდა 70, მორჩა 66, გარდ. 31, ავად არის 48; ამათში 6 შურაგელის მაზრაში და 42 ნახიჩევანისაში.

სტავროპოლში კვლავ ავად გახდა 12, გარდ. 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 204, გარდ. 110 მორჩა 181; ამას გარდა აჩიკულაკოს საბოქაულოში 27 ივლისიდგან 15 აგვისტომდე ავად გახდა 272, გარდ. 170, მორჩა 100; ტრუხმენის საბოქაულოში 30 ივლისიდგან 1 აგვისტომდე ავად გახდა 2, გარდ. 9, მორჩა 10.

ზაქათალის ოლქში ავად გახდა 15, მორჩა 11, გარდ. 9, ავად არის 71,

*** ქუთაისის გიმნაზიაში მისაღები და განსამეორებელი გამოცდა დანიშნულია 15, 16, 17, 18 და 19 სექტემბერს, ხოლო სწავლა-კი 21 სექტემბერს დაიწყება.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიასა და ინსტიტუტში მისაღები და განსამეორებელი ეგზამენები დაიწყება 16 სექტემბერს, ხოლო სწავლა ორშაბათს, 21 სექტემბერს.

*** ზრეთი (ფრონის ხეობა): ჩვენში ხოლერა სრულიად განელდა, მაგრამ კაი ზარალი-კი მოგვცა. 19 სული ქალი და კაცი იმსხვერპლა ულმობელმა სენმა და მხოლოდ მაშინ დაგვანება თავი. არ შეგვიძლიან დიდის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ღვაწლი ჩვენის მემამულის ბ-ნის გ. ზ. ქანანოვისა, რომელიც თავ-გამომეტებით ეხმარებოდა ხალხს რჩევა-დარიგებითა და წამლებით. გახდებოდა თუ არა ვინმე ავად, მაშინვე ბ-ნი ქანანოვი იქ დაიბადებოდა და ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდა ავადმყოფის მოსარჩენად. თითონვე ჰზელდა ავადმყოფს, ტლეებს ადებდა, აბანავებდა, წამლებს ასმევდა და სხვა. ბ-ნი ქანანოვი ისე მადლიანად სწამლობდა, რომ ვისაც-კი დრიზედ მიასწრო, ყველა თითქმის ფეხზედ წამოაყენა. ეს საკვირველიც არ არის. ბ-ნს ქანანოვს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული და წამლების მოხმარება ძალიან ეადვილება, ასე რომ ბევრს ფერშალს გაცილებით აჯობებს ექიმობაში. თავისი კაცთმოყვარული მხნეობა ბ-ნმა ქანანოვმა მარტო ზრეთში არ გამოიჩინა. მეორე დიდ სოფელში, დირბშიაც, რომელიც ფრონის ხეობაზევაა, იჩინა თავი ხოლერამ. მაშინვე ბ-ნი ქანანოვი გაემგზავრა დირბს და ჩვეულებრივის მხნეობით შეუდგა საქმეს. მცირე დროს ოცამდე ავადმყოფი წამოაყენა ფეხზედ. რო გენახათ, რა მადლობის თვალით უცქეროდნენ სენისაგან განთავისუფლებულნი და მათი ოჯახობანი, რა წრფელის გულით უხდიდნენ მადლობას, უთუოდ იტყოდით, რა ბევრი რამ შეუძლიან ადამიანს, თუ-კი მოინდომა და მიწაში არ ჩაჰფლა ღვთისაგან მინიჭებული ნიჭიო.

*** საჩხერე: 19 აგვისტო. დღეს, როდესაც საჩხერის სასანიტარო დასს კრება ჰქონდა პოლიციის სამმართველოში, საღამოს შვიდს საათზედ შემოირბინა ერთმა კაცმა და განაცხადა, რომ ვანო ბეგალოვი (საჩხერის „მებუკე“) თოფით დასჭრეს და კვდებაო. კრება დაიშალა, ექიმი და ბოქაული დაჭრილთან გაეშურნენ. ბეგალოვის ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. მიზეზი ამ დაჭრისა აი რა არის: ამ ბეგალოვს მოუპოვებია ჩვეულებრივად ვიღაც ურიისაგან 1200 მანეთის აღმასრულებელი ფურცელი ერთის იმერელის თავადისა ოც თუმნად, აუწერია ამ თავადის მამული და დღეს უყიდდა. თავადი ბევრს ეხვეწა ბეგალოვს, ვაჭრობა გადასდე გიორგობის თთვემდის და უკეთუ ამ დროისთვის ვერ წარმოგიდგინე კანონიერი საბუთი, რომ ურიისა სრულიად არა მმართებს-რა, მაგ ფულს გიზღავ და სრულად გადაგიხდიო. ყველამ, ვისაც-კი ჰსურდა ყიდვა, ხელი აიღო ვაჭრობაზედ, როდესაც გაიგეს ამ საქმის გარემოება, მაგრამ ბეგალოვი ვერ დაიყოლიეს თურმე, როგორც ამბობენ და ოთხი-ხუთი ათას მანეთზედ მეტად ღირებული მამული ექვსას მანეთად დაინარჩუნა. საღამოს, როდესაც კარგად დაბინდდა და ბეგალოვი თავის სახლის აივანზედ დასეირნობდა, მეორე სახლის აივნიდგან (რომელიც ოცს ნაბიჯზედ იქნება მოშორებული) გავარდა დამბაჩა და ორივე ხელში მოჰხვდა ბეგალოვს; ტყვიამ გაუხვრიტა ორივე ხელი და ბაყს ზევით რბილში გაატანა. დამნაშავენი ჯერაც არ აღმოუჩენიათ.

*** გაზეთს „Нов. Об.“-ს დეპეშით ატყობინებენ დონის ნახიჩევანიდგან, რომ იქ გარდაიცვალა სომხების ცნობილი პოეტი, რაფაელ პატკანიანი. განსვენებული გამარ-ქათიბა (ჰსევდონიმია) ორმოცი წელიწადი ემსახურა თავის სამშობლოს, და დიდადაც უყვარდათ პოეტი სომხებს.

*** სოფელ შახნაზარიდგან გაზეთ „Кавказъ.“-ს ატყობინებენ, რომ იქაურ მემამულეს თ. ა. ე. ორბელიანს შეუწირავს ექვსი დღიური მიწა ადგილობრივი სკოლისათვის. ამ მამულზედ მღვდელს მ. სარქისა იაზიჩიანს სამთვალიანი წისქვილი გაუმართავს და შემოსავალს სკოლას ახმარებს. ნეტავ არ იქნება, თ. ორბელიანს სხვებმაც წაჰბაძონ და მითი შეუწყონ ხელი ღარიბ სოფლის სკოლებს, თორემ მათი ნივთიერი მდგომარეობა დიდად შევიწროებულია.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. გ. ჯანდიერი წავიდა ლილოსა, ნორიოსა და მარტყოფში, რათა დაესწროს სოფლის მოხელეთა არჩევანებსაო.

რიგიან მოხელეს, თუ-კი სოფლისთვის გული შესტკივა, ბევრის სიკეთის მოტანა შეუძლიან სოფლისათვის, ამიტომ სასურველია, რომ სოფელმა გონივრულად მოიხმაროს კანონისაგან მინიჭებული დიდი უფლება თავისის მოხელეს ამორჩევისა.

ყველამ კარგად იცის, რა საშინლად არის შეწუხებული ჩვენი სოფელი უნამუსო და გაიძვერა მამასახლისებისაგან. აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ამ სამის წლის წინად, თუ ახსოვს ჩვენის გაზეთის მკითხველს, მარტყოფელებმა მოიწადინეს მამასახლისად თავისი ღვიძლი შვილი, მაგრამ განათლებული კაცი ბ-ნი ბერიშვილი. ბერიშვილს ყავლი გაუვიდა; დღეს სოფელი ხელახლად შეუდგება მამასახლისის არჩევას და თუ კმაყოფილია მისი ღვაწლით და სამსახურით, რაღა თქმა უნდა ისევ იმას ამოირჩევს. შესაძლებელია, ბერიშვილი არ ამოირჩიონ, ვისიმე გაიძვერა კაცების გავლენით, რომელთაც არ იამათ მისი მამასახლისად დანიშვნა, ან შეიძლება თვითონაც აღარ მოისურვოს მამასახლისობა, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებო იქნება, თუ ვინმე, ან თვით მაზრის გამგეობა, გამოიკვლევს, რამდენად სასარგებლო იყო განათლებულის კაცის მამასახლისობა სოფელში. საფუძვლიანი გამოკვლევა ამ საგნისა ყოველის მხრივ დაგვანახვებს, უნდა ვცდილობდეთ, თუ არა შემდეგისათვისაც განათლებულ კაცების მამასახლისად დანიშვნას.

*** ფინანსთა სამინისტროს, როგორც გაზ. „Кав.“-ს შეუტყვია, ნება დაურთავს ტფილისის ხაზინისათვის: სახელმწიფო ერობათა გარდასახადის ნაშთიდგან 5,000 მ. გარდაეცით გუბერნატორს, რათა ეს ფული სესხად მიეცეს გორის ქალაქის გამგეობას ხოლერასთან საბრძოლველადაო.

*** 22 აგვისტოს დათებ ავგაროზოვი მტკვარში პოვოსკას რეცხდა და წყალმა მოიტაცა, მაგრამ მალე მიეშველნენ ივანე დრუყინინი, გრიქუროვი და არუთინოვი და გადაარჩინეს. ცხენი-კი დაირჩო.

*** ამავე დღეს არწრუნისეულს ქარვასლაში დაიწვა სარა ლაზარევის ქაღალდის საწყობი სარდაფი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ნოქარს ნალბანდოვს მოკიდებული სანთელი დავიწყებია სარდაფში. ცეცხლი შინაურებმა ჩააქრეს. ზარალი ბევრი არაფერია და არც დაზღვეული ყოფილა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ბოჟი-პრომისლი.** მკათათვის 25-ს. ბაქოდგან ჩვენც გვეწვია დაუპატიჟებელი მუცელ-ღორა სტუმარი—ხოლერა. ბაქოელები რომ გულუხვად დაუხვდნენ და ყოველ მის სურვილს არაფერი წინააღმდეგობა არ გაუწიეს, იფიქრა, მოდი ერთი მაზრებშიაც გავისეირნებ და გამოვცდი, იქ როგორიღა სტუმართ-მოყვარე ხალხი სცხოვრობსო, იქაც ასე მიმაღებენ, თუ არაო. ამ აზრით გამოსწია ჩვენის მაზრისაკენ, რომელიც განთქმულია ყოველნაირ სიმდიდრით და ხალხის უსუფთაობით. პირველად მობრძანდა „ბანკის ვატაგაზედ“, შემდეგ აქედგან გაისეირნა სხვა სოფლებში და სულ მოკლე ხანში შემოიარა მთელი მაზრა, ასე რომ არც ერთი სოფელი არ დასტოვა უნუგეშოდ და უნახავად.

მართლაც 17 ამ თთვეს „ბანკის ვატაგაში“, რომელიც იჯარით აქვს აღებული ფითოევის ამხანაგობას, ბაქოდგან მოვიდა ორმოცამდე რუსის მუშა. ერთი მათგანი მოსვლის თანავე გარდაიცვალა ხოლერის ნიშნებით, რის გამოც ყოველივე ღონისძიება იქმნა მიღებული სენის მოსასპობლად. აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ფითოევის ამხანაგობამ წინადვე ააშენა დროებითი საავადმყოფო, ექიმს მოამოაშველა ფერშლები და სხვა მოსამსახურენი. ფისში შემურვილმა კუბომ მიცვალებულისამ ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა მოსამსახურე ხალხი, ნამეტნავად ყარაბაღელი სომხობა; თუმცა „ვატაგის“ მოურავი კი არწმუნებდა, რომ მიცვალებული მოკვდა ლოთობისაგან და არა ხოლერისაგანაო, მაინც ბევრმა არ დაუჯერა და დასტოვა სამსახური. ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, ხოლერა კი არსადა სჩანნაჭირნახულევი იტაცონ და მითი ირჩინონ თავი. ამაზედ მეტად დაწვრილმანება-ღა შეიძლება?!.

ძველად ამ ვაჟბატონების წინაპარნი შეიფიცებოდნენ ხოლმე მამულის მტრის წინააღმდეგ, შეიკვროდნენ მტკიცე კავშირით, რომ ერთი მტკაველი მიწა არ დაეთმოთ მტრისათვის, რათა ქართველი ხალხი არ განადგურებულიყო, არ აღგვილიყო მისი სახელი.

„თუ გაგვიწყრება ღმერთი
და კვლა განვჰსდევნეთ მტრის ძალი,
იყოს შერცხვენილ, ვინც ჩვენგან
შინა წავიდეს ცოცხალი!..
ფიცი ვაჟკაცთა წმიდა არს...
მათცა სიკვდილით შემოწმეს!..“

აი ასე გვიხატავს დიდებული პოეტი ძველის ვაჟკაცობის ფიცსა მტკიცესა.

რა იყო და რას ვხედავთ?! აწინდელი ქართველი ფიცს ჰკრავს საზრახის საქმის შესასრულებლად; ძველი ქართველი იმისთვის სცხოვრობდა, რომ მათი სახელით სხვებს ესახელნათ; აი რას ამბობს ძველების შესახებ იგივე პოეტი:

„თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!

ზაკოდ. თურმე ერთს კაცს უთხრა თავისმა უფროსმა: რას ჩადიხარ, რომ გაგვიგონ ეს საქმე, ციმბირში გაგვგზავნიანო. ბრალი ჩემი, გზა არ ვიცი, თორემ თქვენი გვარისა ჯერ ხუთი წასულა ციმბირსაო. იმისი არ იყოს, ბრალი ჩვენი თორემ, შენ რა გიშავს...

— დაიცა, კაცო, რა დროს ხუმრობაა, ჩვენ საქმისთვის მოვსულვართ... შენ რუსული ატკაზი დააკერე, უთხარი, რომ მე ქართული ჩემს დღეში არ მისწავლია-თქო, რუსულს ვსწავლობდი-თქო და რუსულის წერის მეტი არა ვიცი-რა-თქო.

— მერე სკოლაში რომ ვსწავლობდი? იქიდამ რომ მოიკითხონ?

— კაცო, უთხარი თუ არა ვსწავლობდი, რა კურსი შენ გაგითავებია, რომ წამოგედავნენ. შინ გუვერნატკა მყავდა-თქო და რუსულის მეტი ვერა ვისწავლერა-თქო.

— მაინც, დათა, მერამდენიდამ გამოგაგდეს? ჰკითხა არჩილმა.

— შენ ხომ კურსი გაათავე და რასა კითხულობ.

— კურსი იმისმა გაოხრებამ!.. ვეგდე, ვეგდე ორი წელიწადი ერთს კლასში და მერე ისეთი მიჰიტლაყეს, რომ შენი მოწონებული.

— კიდეც იმიტომა ხარ ჭკუის კოლოფი!

— თქვენ ხომ, თქვენმა მზემა, მისხლობით ჰყიდით ჭკუასა აი!

— არა, შენ ლაპარაკზედ გეტყობა, რომ ჭკვიანი ხარ.

— მამა ვიცხონდით, თქვენ-კი სულ სახარებიდგან ლაპარაკობთ აი!!.

— დათას ჩვენისთანა უნარი ვერ გამოუჩენია, ჩაერია ლაპარაკში ვახტანგი; გახსოვს, დარისპო, ერთი ქალი რომ ქმარს წავართვით?.. კაცო, დაიწყო თავმოწონებით ვახტანგმა, მე და დარისპომ ძროხები გავირეკეთ ერთი სოფლიდამ მეორეში, ეს არჩილაც იქ იყო, ჩვენი ლუარსაბი, ეს ელიაზარა... ასე ჩუმად რომ ზის, ნუ-კი გგონიათ, რომ არა შეეძლოსრა... ეხლა სულ იმის ფიქრშია, ვის როგორი ცხენი ჰყავს, სად უბია, როგორ ასცინცლოს; რაც ზემოდამ დადის, ორ იმოდენად დედამიწაში დაძვრება...

— აი არა დაარჩინოს ღმერთმა...

— დაიცა არჩილ, გამათიავებინ... ჰო, დავირეკეთ ძროხები, ამ ელიაზარმა ყორნისის ხეობაში გაასაღა, ჩვენ ამ ხეობის ერთს სოფელში ვუცდიდით, ჩამოიტანა ფული, გავიყეთ ძმურადა და ერთს ჩვენს ამხანაგს ვეწვიენით. ძალიან გადავშუშხეთ...

— უუჰ, რა ახალი ამბავი სთქვადა!

— დაიცა, კაცო. ნუ ხარ ე ავყიაი!.. იქ ერთი გორელი კაციც იყო, ისეთი ლამაზი ცოლი ჰყავნდა, როგორც მთვარე; მარწყვივით შეიჭმეოდა. მოვუცხელეთ და მოვუცხელეთ ამ ქალის ქმარს ყანწები, ერთი ჩარექიანი ჯიხვიც ვარტყით; ისე გავხადეთ, როგორც ჭაჭა, სულ ფთა მოტეხილი ბატივით ფარფატებდა, ისე გავისტუმრეთ... მოდით, ლოთიანად, ერთი იმ გორელს ცოლი მოვტაცოთო. აბა რა გაგვიმაგრდებოდა; ვეცით იმ სახლს, სადაც იდგა; ავგლიჯეთ კარები და ქმარს გვერდითგან ცოლი ავაცალეთ; აქედ ჩვენ და იქით იმ ქალის მასპინძელი. მაგრამ წინ ვინ დაგვიდგებოდა, რას გაგვიმაგრდებოდნენ.

— არა ჰგვანებიხართ დღთასა, პირცარიელი რომ დარჩა...

— ახლა კარგით, ჩვენს საქმეზედ მოვილაპარაკოთ; მინამ, დათა, შენ ვახშამი უთხარი.

— ნათქვამი მაქვს; ერთი ქოცო ღვინო მაქვს, მინამ არ ამოვსცლით, ადგილიდგან დაძვრა არ შეიძლება.

— მაგას ჩვენ მოვახერხებთ, გაიხუმრეს სტუმრებმა.

— ოცობოდო ლაპარაკს თავი დავანებოთ; ჩვენ საქმეზედ ვილაპარაკოთ, დაიწყო დარისპანმა; ყველამ გავინაწილოთ საქმე; ელიაზარა და არჩილი ქვემოდ ივლიან და რასაც მოათავხელებენ ჩვენსკენ, ზემოდ, გამოირეკავენ; ჩვენ ვითომ ამათგან ვიყიდეთ და ასე გავასაღებთ; მე და ვახტანგი ზემოდამ ნაშოვნს ქვემოდ წავიყვანთ და იქ ესენი გაასაღებენ; დათასთან როგორც ელიაზარს და არჩილს, ისე ჩვენ, მე და ვახტანგს, გვექნება ბინა, რადგან ამისი სახლი შუა ადგილია, აქ კვალს შევსწყვეტთ, პატარას შევისვენებთ და შემდეგ შევუდგებით საქმესა.

შეიფიცნენ ყველანი, რომ ერთმანეთს არ უღალატონ, ყოველივე დაპრკოლებანი, რაც-კი შეემთხვევათ თავიანთის წადილების აღსრულების დროს, გადაჰქელონ, არ შედრკენ და თუ მსხვერპლი იქნება საჭირო, არ დაიზოგონ, თავი შესწირონ.

დიაღ, შეითქვნენ და შეიფიცნენ, რომ სხვის ოფლით მონაგარი, სხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და; ყველას ეგონა, ეს არის ღმერთმა გვიშველა, ჭირი თავიდგან ავიცილეთო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. დადგა მკათათვე, სიცხემ უფრო უმატა, დაიწყეს თევზის ჭერა, მოიკრიფა თავი მუშა ხალხმა, ჩადგა ყველა თავისს საქმეში და აი სწორედ ამ დროს შემოუტია ხოლერამ და დაუწყო შეუბრალებლად მუსვრა ხალხსა, დღეში რამდენიმე ხდებოდა ავად და იხოცებოდა.

ამ გარემოებამ ხალხი დაალონა, დასცა სულით, დააკარგვინა იმედი სიცოცხლისა. სიკვდილის შიშმა შეიპყრო ყველა. ვისაც შეეძლო წასვლა, წავიდა. მთლად გაიკრიფა ყარაბაღელი სომხობა და სპარსეთის ქვეშევრდომი. დარჩა მარტო რუსობა, თევზის ჭერა ხელ-მეორედ შეაყენეს უმუშობის გამო და დღემდე შეჩერებულია. რამდენისამე დღის განმავლობაში 50-მდე სული გარდაიცვალა, რაიცა თუ მივიღებთ მხედველობაში ხალხის რიცხვს, დიდ ნაწილს შეადგენს. როგორც ყოველთვის, კაცი გაჭირებაში უფრო იგონებს ღმერთს, ისე ეხლაც, ხალხმა კაცთაშველისაგან იმედ-დაკარგულმა, მიჰმართა ლოცვა-ვედრებით უზენაესს არსებას და სთხოვა ჭირისაგან ხსნა და შველა. 4 ამ თთვეს ადგილობრივი მღვდლის ა. ტ. მიერ გადახდილ იქმნა „ბანკის ვატაგაზედ“ პარაკლისი და იაზმით ასხურა ხალხი, 5 და 6-ში ათქმევინა აღსარება და აზიარა წმ. საიდუმლოთი. ასევე მოიქცნენ ბოქი-პრომისელშიაც, სადაც ამ ორიოდე დღის წინად იჩინა თავი ხოლერამ, და იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. აქაც მღ. ა. ტ. მიერ გადახდილ იქმნა პარაკლისი ლიტანიით, რომლის შემდეგ უმეტესმა ნაწილმა ხალხისამ ისურვა აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მიღება.

„ბანკაში“ ეხლა ავადმყოფობა შესუსტდა, თითქმის აღარავინა ხდება ავად, სამაგიეროთ თათრის სოფლებში იჩინა თავი; ეხლა იმისთანა სოფელი არ არის, რომ ხოლერა არ იყოს. ამბობენ ანდევკაში (რუსთა სოფელია) და კაჩაკენტში ძალიან მძვინვარებდაო. თათრის სოფლებიდგან ძნელია ხოლერის გაძევება. მათი ბინძური ცხოვრება, დაურიდებლობა მიცვალებულის დამარხვის დროს და სხ. ყოველივე ხელს უწყობს სენის გაძლიერებას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ არაფერს წამალს ექიმისას არ იკარებენ და ექიმის რჩევა დარიგებას რაღაც ნაირის ეჭვის თვალით უყურებენ. ან-კი ვინ მოაცლის სოფლებისათვის ექიმს, როდესაც მთელს მაზრაში მარტო ორი ექიმია და ესენი ხომ დ. სალიანს სულ ვერ გასწვდებიან, სადაც ამ უკანასკნელს ხანებში იჩინა თავი ხოლერამ. აბა აქ მოსთიბავს კარგა ბლომად, წინააღმდეგობას ვინ გაუწევსო.

ამისთანა უბედურება იქნება, რომ ექიმები არიან და აფთიაქი-კი არსად არის. ავადმყოფმა მარტო რეცეპტი უნდა ლესოს წყალში და ისა სვას, თორემ მეტი რა ღონეა.—1888 წელს როსალიანში სენი იყო (ციებ-ცხელება), 800 სული გარდაიცვალა ორის თთვის განმავლობაში. ვნახოთ, ეხლა ხოლერა რამდენის კაცით დაკმაყოფილდება.

ამ თთვის 10-ს სალიანში ბრძანდებოდა ბაქოს გუბერნატორი ხოლერის წინააღმდეგ საშუალების მისაღებად, მაგრამ ღონე რამ იღონეს თუ არა, ეს ღმერთმა უწყის და სხვა კი არავინა, მხოლოდ ეს-კი ვიცით, რომ დარიგება მიუცია, მიწაზედ ნუ დაწვებითო და მიცვალებულებს ღამღამობით ნუ უთევთ და ყორანს ნუ წაუკითხამთო.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხოლერის წინააღმდეგ ადგილობრივი მცხოვრებლები შემდეგს საშუალებას ხმარობენ: ჰნაყავენ ძმარში ნიორს და თუ ავად გაუხდათ ვინმე, იმითი ჰზელავენ იმდენს ხანს, ვიდრე მორჩენის იმედი გადუწყდებათ. ამბობენ, ძალიან შველის ამითი ხოლმეო, მხოლოდ მალე უნდა მიასწრონო; რამდენიმე კაცი გადაარჩინეს სოფელ ხილაში ამ ნაირად. აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ერთი სასაცილო ამბავი. სოფელს ხილაში ერთს ახალგაზდა თათარს მუცელს თურმე დაგვრიმა და დედას შესჩივლა, მუცელი მტკივაო. დედამ იფიქრა, უთუოდ ხოლერისაგან სტკივაო, და მეზობლებს შეატყობინა; უცბად შევიდნენ რამდენიმე კაცი, წააქციეს ის ახალგაზდა, გააშიშვლეს და დაუწყეს ძმრით და ნივრით ზელვა; ბევრი ეხვეწა, გამიშვით, ავად არა ვარო, მაგრამ არავინ დაუჯერა; ბოლოს როცა მზელავები მოიღალენ, როგორც იყო ხელიდგან გაუსხლტათ ავადმყოფი და მინდორში გაიქცა შიშველ-ტიტველად და ამით ძლივს დარწმუნდა ხალხი, რომ ხოლერა არა ჰქონდა.

ამ რამდენისამე დღის წინად აქედგან წამობრძანდნენ ტფილისში ბ. მ. ე. და შ. აჯიქაბულის მთებამდე მშვიდობით განვლეს გზა, მაგრამ მთებს რომ მიუახლოვდნენ, შენიშნეს, რომ მთიდგან ცხენიანი კაცები ეშვებოდნენ ძირს. დაინახეს თუ არა, შეფიქრიანდნენ და შეუდგათ ჩოჩქოლი, არ იცოდნენ საით წასულიყვნენ. წინ წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან ხევში დახვედრას მოელოდნენ, არჩიეს უკანვე დაბრუნება. უბძანეს მეეტლეს, გარეკე ცხენები რაც შეიძლო, მით უფრო რომ შენიშნეს თურმე, რომ ყაჩაღები უკან გამოეკიდნენ. როგორც იყო მოაღწიეს ზუბოვსკის სტანს მშვიდობით. აქედგან ჩაფარი გაგზავნეს აჯიქაბულში ბოქაულთან, რომელიც მაშინათვე მოვიდა და მგზავრები მოიყვანა მშვიდობით აჯიქაბულში და შემდეგ შეუდგა ავაზაკების კვალს და მალეც იპოვნა. მერე ვინ აღმოჩნდნენ ეს ავაზაკები? მეცხვარეები. თურმე ნუ იტყვით, მეცხვარეები ყოფილიყვნენ და ისინი ყაჩაღად მოსჩვენებოდნენ.

ა. ტ.

## რუსეთი

ქ. მოსკოვში 16 და 17 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 9, გარდ. 4; ავად არის 53; გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდ. 1, ავად არის 6.

კრონშტატში 15 აგვისტოს ავად გახდა 106, გარდ. 90.

ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 88, გარდ. 36.

ყაზანის გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 200, გარდ. 82.

პერმის გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 46, გარდ. 24.

სამარას გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 501, გარდ. 302.

სარატოვის გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 530, გარდ. 253.

ტვერში 15 აგვისტოს ავად გახდა 2.

უფას გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 77, გარდ. 34.

ხარკოვის გუბერნიაში 15 აგვისტოს ავად გახდა 120, გარდ. 52.

ტამბოვის გუბერნიაში 14 და 15 აგვისტოს ავად გახდა 419, გარდ. 141.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ფერშალს, ბ-ნს ვასილ გლურჯიძეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ჩვენის გულისათვის, სინიდისიერად და პატიოსნად შეასრულა თავისი ზნეობრივი მოვალეობა, დიდის თავ-გამომეტებით და უშიშრად დაიარებოდა ხოლერიან ავადმყოფებთან და რაც ძალა შესწევდა გულ-მტკივნეულობით უვლიდა ავადმყოფებს; თითქმის ყველანი ვისაც-კი ხელი მოჰკიდა ბ-ნმა გლურჯიძემ, განიკურნენ სენისაგან. ერთი-ორი თუ მოკვდა, ისიც იმის გამო, რომ დროზედ ვერ მიუსწრო წამლები. წრომელები დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ის კაცთ-მოყვარე, და მადლიანი კაცი არ გაგვჩენოდა, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე დაგვემართებოდა. დიდს მადლობას შევსწირავთ აგრეთვე უგანათლებულეს თავადს პეტრე ა. გრუზინსკის, რომელმაც ეს მადლიანი კაცი გამოგვიგზავნა. ვმადლობთ აგრეთვე, ჩვენ სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობას, რომელმაც ხოლერასთან საბრძოლველად ფული არ დაიშურა და ჩვენც ცოტა რამ მოგვაწოდა. ვევედრებით ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ მთლად ჩვენი საქართველოც ასრე განთავისუფლებულიყოს და გადარჩენილიყოს ხოლერას, როგორც დღეს ჩვენი სოფელია გადარჩენილი და განთავისუფლებული.

თავ. ლევან ციციშვილი

## დეპეშა

22 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი მემკვიდრე ცესარევიჩით და სხვა ავგუსტოეს შვილებითურთ გუშინ დაბრუნდნენ ტრანზუნდის რეიდიდგან პეტერბურგს.

იმ კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეც მემკვიდრე ცესარევიჩია, 42,000 ცხენზედ მეტი იყიდა; თითო ცხენი დაჯდა 30 მანეთამდე; ეს ცხენები გაიგზავნა მოუსავლობით დაზარალებულს თერთმეტს გუბერნიაში და გლეხებს დაურიგდა 25 და 15 მან. თითო. როგორც ადგილობრივი ადმინისტრაცია იცნობება, ცხენები კარგები გამომდგარა და გლეხებს დიდის მადლობით მიუღიათ, ვითარცა ნიშანი მემკვიდრე ცესარევიჩის განსაკუთრებულის წყალობისა.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰნახა ერთი აქაური საავადმყოფო, რომელშიაც ხოლერით ავადმყოფნი არიან მოთავსებულნი. მინისტრმა მოიარა ყველა ოთახი, გაიცნო საავადმყოფოს მოწყობა - მომმართვის წეს-რიგი, ელაპარაკა როგორც ექიმებს, ისე ავადმყოფებს ® უკანასკნელთ ნუგეშინი სცა.

გუშინ პროფესორი ვირხოვი ბერლინსავე გაემგზავრა. რკინის გზის სადგურზედ იგი გააცილეს საერო განათლების მინისტრმა, ექიმობამ და მსწავლულებმა.

„მმართებლობის მოამბე“ ამბობს, ვირხოვი წავიდა და თან, როგორც არა ერთხელ უთქვამს, მადლობის გარდა, უფრო სამართლიანი და თანამგრძნობი აზრი წაიღო რუსეთის შესახებ, ვიდრე ის აზრია, რომელიც აქვთ ჩვენთან დასავლეთით მოსულ სტუმრებს, რომელნიც უმეტესად ადრევე არიან ჩვენს შესახებ თითონვე დაბეჯითებულნი.

---

თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლს მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!“.

ისეთს გასაოცარს საქმეებს სჩადიოდნენ ძველები, რომ მათის მოთხრობით, მართლა და, რკინის კაცი უნდა იყოს, ცრემლი არ მოედინოს. მაგრამ ამ ჟამად ყველას არ აღელვებს. აგერ გამოვიდა ასპარეზედ ერთნაირი ხალხი, რომლის თვალში მხოლოდ საზრახს საქმეებს დაუჭერია ადგილი; საზრახი საქმეები გაჰხდომია სახელოვანად და მას უკმევს გუნდრუკს, მითი სულდგმულობს; ეს ის ხალხია, რომელიც ძველად სახელოვანს საქმეს უდგა სათავეში და ამ საქმისათვის სიკვდილს რჩეობდა. სამწუხაროა ერთობ, დამაფიქრებელია ერთობ ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ჰხედავ სხვაგან, თუნდა ჩვენზედ პატარა ხალხებში, რომ მდევის ნაბიჯით მიდიან წინ-წინ სიკეთის გზაზედ; დიდი და პატარა ჰფაცურობს, რომ წარმატების გზას შეუდგეს; ჩვენში-კი, რაც წინაპარებს დაუტოვებიათ, იმასაც ვაქცევთ.

— სასოწარკვეთილებას ნუ მისცემიხარ, ვუთხარ გაჯავრებული ჩემს მეგობარ-მოამბესა, თუმცა თანამედროვე ცხოვრებამ წამოაყენა შენგან მოყვანილი „ტიპი“, მაგრამ მაგას დიდი დღე არა აქვს; მაგას ბოლოს მოუღებს სხვა ძალა, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში თავი იჩინა; ნუ გეშინის, არის ისეთ ნაწილიც, ისეთი დასი, რომელსაც „ცრემლი სდის“ წინაპართა სახელოვანის საქმეების მოთხრობითა, ეს დასი დიდდება დღითი დღე მამულის სასიკეთოდ...

— ჰმ!!. ნეტავი აგრე... მე-კი ამ დარისპანებში ტრიალით ყოველი სასოება წამერთვა. მე წარმოდგენილი მაქვს, ვითომ ჩვენი ხალხი იხრწნება და ყვავ-ყორანის ლუკმად ხდება.

— აი სწორედ ამ დროს, ამ გაჭირვებაში, რასაც შენს ენაზედ „ხალხის ხრწნას“ ეძახი, გამოჩნდებიან ხოლმე ძალუმი კაცები და ხრწნისაგან იხსნიან ხალხს, ახალისებენ მას ისე, როგორც ხალისდება რკინა ცეცხლში და ჰხდიან მას „ვერცხლ გამოცლილ მიწით და გამოხურვებულ შვიდ წილ“. სიკვდილით, ანუ „ხრწნით“, როგორც შენ ამბობ, სია ცოცხლე იბადება, ამას ჰმოწმობს მოციქული პავლე, რომელსაც კვერს უკრავს ჩვენი პოეტიც:

„ღმერთო! ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს
მისს ფერუთვალავს შვენებას!
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!!“.

აი მიხვედით ისტორიას: როდესაც სახრინავზედ მიდგებოდა ხოლმე საქართველო, ანაზდად გამოუჩნდებოდა გმირი, რომელიც მომაკვდავს ხალხს ძლიერს სულს ჩაჰბერავდა და ფენიქსებრ განაახლდება; მაგალითად ავიღოთ მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც დაღუპულს ქვეყანას, გავერანებულს ხალხს, დაქსაქსულს რა ცხოველ სული ჩაუდგა და რა საქმეები მოახდინა!!.

ფიქრი არ არის, მეგობარო, ფიქრი... აბა გაათავე დაწყობილი მოთხრობა დარისპანის შესახებ, რომელიც არს მიზეზი შენის აგრე უსასოებისა.

— მე თუ ჩამოვაგდე ლაპარაკი დარისპანის შესახე, იმიტომ რომ იგი მისაბაძავ საგნად გამხდარა; ბევრნი ადგანან იმის გზასა, ძალიან გამრავლებულია ამ ჯურის ხალხი, ყოველს სოფელში რამდენიმე დარისპანი ზის; ყოველს დღეობაში, ყოველს ხატობაში ათობით და ოცობით შეგხვდებიან დარისპანები; ესენი არიან მატლები ჩვენის საერთო სხეულისა, რომელსაც ჰხრავენ, მაგრამ, როგორც შენ ამბობ და მეც, რასაკვირველია, მჯერა, ყველა სენს წამალი აქვს. ამ იმედით გამხნევებული დარდებს თავს დავანებებ და ისევ მივუბრუნდები დარისპანს და მოკლედ გაგითავებ, რა ბოლო მოჰყვა იმათ მოქმედებას.

თავიანთს პლანს შესრულება დაუწყეს; დარისპან ავლიაძეს ნაპარევი საქონელი ჯოგ-ჯოგად გადაჰყავნდა იმერეთში და იქ ჰყიდდა; დააჯერყველა, რომ ჯოგები ჰყავს ქართლში და მითი ვაჭრობს; ერთხელ იმერეთიდამ ღორის ფარა დაირეკა და გამოუყენა ჭერათხევის გზასა; ჩაუდგნენ კვალში, კვალი მიიტანეს დათას სახლში, სადაც სხვა ნაპარევიც ბევრი იყო. დიდხანს დაეძებდნენ ამ რაინდებს და ბოლოს წყლის კოკა ისევ წყალზედ-კი გატყდა. შემოერტყა ბოქაული ჩაფრებით, კნიაზ დათამ ბევრი იფიცა, რომ იმის სახლში არავინ იმალება, არავითარიმნაპარევი არ მოიპოვება, მაგრამ... ვაი სირცხვილო!! ძალით შევიდნენ სახლში; კნიაზ დარისპანი ტახტ ქვეშიდგან ფეხით გამოათრიეს, ვახტანგი ბუხარში შემძვრალიყო, ელიაზარი კარს ასტუზვიყო, მხოლოდ ერთი არჩილი არსადა სჩანდა.

იმ დღეს საქმისთვის ქალაქში ვიყავ, რკინის გზის სადგურთან ხალხი შეყრილიყო და რაღასაც ჩოჩქოლობდა; ერთიერთმანეთს უშვერდნენ ხელსა და ზიზღით რაღაცაზედაც ანიშნებდნენ.

— აი, ეს არის აი, ღორები რომ დაიპარა. ესენიც მაგისი ამხანაგები არიან. ამბობენ, კაციც შემოჰკლომიათ და ყველას ციმბირში ჰგზავნიანო, ამბობდა ერთი.

მივედი და ვიცან, დარისპან თავის დამქაშებით მაზარებში იყვნენ გახვეულნი და მიუდიოდათ საპყრობილეში. თავები ჩაექინდრათ, თვალები ცრემლის გუბით ავსებოდათ, რცხვენოდათ ხალხისა და მზის ცქერისა. მხოლოდ ერთი დარისპანი არ იტეხდა ეხტიბარსა და დოინჯ შემოყრილი ცალის ხელით ულვაშს იწმაწნიდა. ამხანაგებს სირცხვილი მაინც შერჩენიყოთ და სინიდისი აწუხებდათ, დარისპანს-კი თავი მოჰქონდა საზრახისის საქმით.

კიკია.

ხოლერის გამო შტეტინსა და ლიუბეკში ნებას აღარ აძლევენ ჩამოხდომისას იმ ებრაელებს, რომელნიც რუსეთიდგან იხიზნებიან. მარსელში ოდესიდგან 30 ებრაელი მოვიდა; ჩქარა მივა 80-იც სხვა. ადგილობრივი ებრაელთა საქველ-მოქმედო კომიტეტი მისცემს ამ ებრაელთ თავ-შესაფარებელს ბინასა და საჭმელს.

20 და 21 აგვისტოს პეტერბურგში ავად გახდა 133, გარდაიცვალა 43, მორჩა 62.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო, რომ პეტერბურგში ხელის-მოწერით შეწირულებათა კრეფა დაიწყონ იმ ყმაწვილთა უზრუნველ-საყოფელად, რომელნიც პეტერბურგში დროებით მოხელეთა ხოლერისაგან გარდაცვლილთაგან ობლად არიან დარჩენილნი.

სწავლა და ეგზამენების დაწყება საერო განათლების სამინისტროს პეტერბურგის ორივე სქესის უმაღლესს და საშუალო სასწავლებლებში გადადებულია 15 სექტემბრამდე.

ს.-პეტერბურგის ბირჟა 21 აგვისტოს: საადგილ-მამულო გირავნობის ფურცლებში იძლევიან: ტფილისისაში 6%—$100\frac{1}{2}$ მან., 5%—$99\frac{1}{2}$ მ. ქუთაისისაში 6%—$102\frac{1}{4}$ მან., 5%—$99\frac{3}{4}$ მან., ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციაში—$98\frac{1}{4}$ მან.

23 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 22 აგვისტოს პეტერბურგში ავად გახდა 121, გარდ. 31, მორჩა 76.

როგორც არდებილში (სპარსეთში) გაგზავნილი ექიმები იუწყებიან, იქ არავითარი ჟამი არ არის; ხოლერაცკი მოისპო და ხალხი თავ-თავისს ბინაზედ დაბრუნდა. ჟამი ვაჭრების გამოგონილია.

**მოსკოვი.** გუშინ გულის ელდისაგან გარდაიცვალა სარკინის გზო კონგრესის წევრი, საფრანგეთის სახელმწიფო გზების დირექტორი სანდრი.

**პარიჟი.** აქ ხოლერამ რამდენიმედ იმატა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,87 | 7,90 | — „ |
| ტრამოჟნის კუპონები | $151\frac{1}{4}$ | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $235\frac{1}{4}$ |
| —მეორისა | — „ | — „ | $222\frac{1}{4}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | $193\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი-ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

**განცხადებანი**

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—99)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი. | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა | „ | 30 |
| ოტელლო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი | „ | 50 |

განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1892 წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამ ჟამად ოთხის მოსამზადებლის და სამის პროგიმნაზიულის კლასისაგან) მეოთხე პროგიმნაზიული კლასი.

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასისათვის, რეალურ სასწავლებლის პირველის კლასისათვის, და კორპუსისთვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამას.

მომავალ ენკენისთთვისათვის სკოლაში არის სულ 50 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში — 29, მეორე განყოფილებაში — 8, მესამე განყოფილებაში — 4, მეოთხე განყოფილებაში — 2. და პირველს კლასში — 7. დანარჩენ კლასებში არ არის ვაკანსია.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან (50) ორმოც-და-ცხრა (49) დანიშნულია გარედგან მოსიარულეებისათვის და ერთი (1) პანსიონში შემომსვლელთათვის. ეს ერთი ვაკანსია, გამგე კომიტეტის გარდაწყვეტილების თანახმად, ეკუთვნის ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობას, საიდგანაც მიღებულ იქმნება ერთი ღარიბ თავად-აზნაურთაგანი საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

რაიცა შეეხება იმათ, ვისაც სრულს საკუთარს ხარჯზე სურს შემოსვლა პანსიონში ან ნახევარს ხარჯზე (პირველნი იხდიან წელიწადში ოც თუმანს და მეორენი—ათს), წელს სკოლის მთავრობა, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილებს მათს თხოვნას, რადგან ამ ჟამად პანსიონში ყველა ვაკანსიები დაჭერილია, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც მოხსენებულია ზემოდ, დაინიშნა ტფილისის მაზრისათვის. მსურველთ შეუძლიანთ შემოვიდნენ სკოლაში მხოლოდ გარედგან მოსიარულეებად, რომელთათვის დანიშნულია 49 ვაკანსია.

თუ ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ მარიამობისათვის უკანასკნელ რიცხვებში და ან ენკენისთვის განმავლობაში განთავისუფლდა რამდენიმე ვაკანსია, მაშინ კიდევ შეიძლება მიღებულ იქმნას პანსიონში იმდენი მოწაფე, რამდენიც ვაკანსია დაიცლება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირველ განყოფილებაში | მიიღებიან ყმაწვილები | არა უმეტეს | 8 | წლისა. |
| მეორე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 9 | წლისა. |
| მესამე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 10 | წლისა. |
| მეოთხე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 11 | წლისა. |
| და პირველს კლასში | „ „ | არა უმეტეს | 12 | წლისა. |

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა, რომლის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშალისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზედ შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღიდგან გამოცხადებისა მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველს სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანეთია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, რომ მათი შვილები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არა სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერი ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ მოწაფისა, რომელსაც ჰთავდებობს.

(4—4)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

**საქართველოს**

**გეოგრაფია**

1 წიგნი

**სამცხე**

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Августа 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.